ხელშეკრულება №1

ქ.მცხეთა 10 იანვარი 2011წ.

1.

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ა) ერთის მხრივ შ.პ.ს. "მცხეთის კომუნალური გაერთიანება" მისი დირექტორის ნოდარ კაპანაძის სახით, შემდგომში შემსყიდველი

ბ) მეორეს მხრივ შ.პ.ს. "სტ ოილ"-ი მისი დირექტორის თეიმურაზ მირესაშვილის სახით, შემდგომში მიმწოდებელი

## 2. ხელშეკრულების საგანი

შ.პ.ს. "სტ ოილ"-ის კუთვნილი საავტომობილო საწვავის მიწოდება შემსყიდველისათვის.

## 3. მხარეთა ვალდებულებები

ა) შემსყიდველი ვალდებულია საქონლის მიწოდების დაწყებამდე მომწოდებელს წარუდგინოს ოფიციალური განაცხადი მისაწოდებელი საქონლის შესახებ (განაცხადში მითითებული უნდა იყოს საქონლის მიწოდების ფორმა-ეტაპობრივი ან ერთჯერადი).

ბ) მომწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს განაცხადით გათვალისწინებული (მომწოდებელთან ოფიციალურად შეთანხმებული) ოდენობით საავტომობილო საწვავი.ეტაპობრივი მიწოდების შემთხვევაში შემსყიდველს გადასცეს შეთანხმებული ოდენობის ტალონი (ქაღალდი), დამოწმებული მომწოდებლის კუთვნილი სპეციალური შტემპით ან ბეჭდით.

## 4. მხარეთა მოვალეობები

ა) შემსყიდველი მოვალეა შესყიდული საქონლის ხარისხის შესახებ (ან სხვა სახის) პრეტენზია წარუდგინოს მომწოდებელს შესყიდვიდან არა უგვიანეს 1 საათისა.

ბ) მომწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს ქვეყანაში არსებული სტანდარტების შესაბამისი ხარისხიანი საქონელი (საწვავი). შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველს კანონმდებლობის შესაბამისად გამოუწეროს შესყიდვის დამადასტურებელი საგადასახადო ანგ.ფაქტურა.

გ) მხარეები როგორც ტალონის, ასევე საწვავის ფიზიკური მიწოდების შემდეგ აფორმებენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

## 5. მიწოდებული საქონლის ოდენობა და ფასი

მიწოდებული საქონლის ოდენობა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში განისაზღვრის შემდეგი ოდენობით: ბენზინი 2600 ლიტრი, ერთეულის ფასით 1ლ.-1,95ლარი და დიზელის საწვავი 3100 ლიტრის ოდენობით. ერთეულის ფასით 1ლ.-2,05ლარი. სულ; 11425 ლარი.

## 6. საქონლის ღირებულება გადახდის ფორმა და გადახდის ვადა

საქონლის ღირებულებას შემსყიდველი მომწოდებელს აუნაზღაურებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 15 დღისა.

2.

## 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 1 თებერვლამდე.

## 8. მხარეთა რეკვიზიტები

პირველი მხარე, შემსყიდველი – შ.პ.ს. "მცხეთის კომუნალური გაერთიანება" საიდ.კოდი 236031691 მის.-ქ.მცხეთა, ღვინჯილიას ქ.№1 ბანკი – "ლიბერთი ბანკი"-ს მცხეთის ფილიალი ბ/კ 220101415 LBRTGE22 ანგ.№GE86LB0113175984003000

მეორე მხარე,მომწოდებელი – შ.პ.ს. "სტ ოილ" საიდ.კოდი 205169538

იურ.მისამართი – ქ.თბილისი, კანდელაკის ქ.№1 ლიბერთი ბანკის მცხეთის ფილიალი

ბ.კ. 220101415 ა/ნ GE76LB0113171202103000 ტ. 899 55 33 73

პირველი მხარე,შემსყიდველი

შ.პ.ს."მცხეთის კომუნალური გაერთიანება"

დირექტორი: ნ.კაპანაძე

მეორე მხარე,მომწოდებელი

შ.პ.ს. „სტ ოილ" დირექტორი: თ.მირესაშვილი

შენიშვნა: ხელშეკრულება შედგენილია 2 ფურცლად და თითოეული ფურცელი მოწმდება ორივე მხარის მიერ შესაბამისი ხელმოწერებით.